ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4578581

ნომერი: AR1692228

თარიღი : 05.07.2019

გაცემის თარიღი : 08.07.2019

გაცნობის თარიღი : 08.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბიძინა კვერნაძე , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კვინიკაძე პ/ნ 18001006714
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 8, ბინა 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

..მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: დამატებით აღწერეთ ინფორმაცია საპროექტო შენობა-ნაგებობის ფუნქციასთან დაკავშირებით, კერძოდ რას მოემსახურება შენობა ნაგებობა.

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის სხვადასხვა ხედის ფიქსაციით გადაღებული ფოტოსურათები.

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოდგენილი ფოტომონტაჟის თანახმად გარდა საპროექტო ფანჩატურისა ასევე ხდება ღობისა რეკონსტრუქცია და ასევე ტერიტორიის მოპირკეთება, საჭიროა ფოტომონტაჟზე აისახოს მხოლოდ საპროექტო შენობა-ნაგებობა.

წარმოდგენილ 02.07.2019 წლის ყაზტრანსგაზ თბილისის წერილთან ერთად დამატებით წარმოსადგენია არსებული ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის შესაბამისი წესით დამოწმებული გენ გეგმა.

ასევე მოგახსენებთ, იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი სამუშაოებით შეხება ხდება სარგებლობაში არსებული ფართებს წარმოდგენია არნისნული ფართების მესაკუთრეთა თანხმობები, სხვა შემთხვევაში საჭიროა განიმარტოს ინფორმაცია მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.